საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზიისა და რადიოს განვითარების კონცეფცია

არჩილ ხახუტაიშვილი

ზოგადი მიმოხილვა

საყოველთაოდ ცნობილია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებლის ამოცანაა, ის წარმოადგენდეს საზოგადოებისთვის მიუკერძოებელ, ანგარიშვალდებულ, სანდო, ხარისხიან, მრავალფეროვან და ხელმისაწვდომ მაუწყებელს. საზოგადოებრივი მაუწყებლის შინაარსობრივი ვალდებულებები კანონით უკვე არის განსაზღვრული და პრაქტიკულად ქმნის მაუწყებლის საქმიანობის ძირითად პრინციპებს:

- სარედაქციო დამოუკიდებლობა/მიუკერძოებლობა;
- ანგარიშვალდებულება;
- საზოგადოებრივი ჩართულობა;
- საყოველთაობა და მრავალფეროვნება;
- ხარისხი და სანდოობა;
- ინოვაციურობა და კრეატიულობა.

პრობლემები

2013 წლის 25 დეკემბრიდან, სტატუსის "საზოგადოებრივი მაუწყებლის აჭარის ტელევიზია და რადიო" მინიჭებიდან, 6 წლის განმავლობაში აჭარის ტელევიზიამ და რადიომ, ზემოთ აღნიშნული პრინციპების გათვალისწინებით, განვითარების და გაძლიერებისთვის მრავალი პრობლემა გადალახა. თუმცა გამოწვევები და სირთულეები (მიმდინარეც და სამომავლოც) ჯერ კიდევ ბევრი არსებობს. აჭარის ტელევიზიის და რადიოს მიმართ საზოგადოების ნდობის, სარედაქციო დამოუკიდებლობის, მიუკერძოებლობის და ობიექტურობის ხარისხი ეტაპობრივად იზრდება და ამ ზრდის ტენდენციის შენარჩუნების ხელშეწყობა წარმოადგენს სწორედ მრჩეველთა საბჭოს თითოეული წევრის უმთავრეს საზოგადოებრივ და მორალურ ვალდებულებას (კანონისმიერს რომ თავი დავანებოთ).

აჭარის ტელევიზიის და რადიოს პრობლემებზე (ნდობის ხარისხი, შენობა/სამუშაო გარემო, თანამშრომელთა ანაზღაურების სისტემა, სამსახურეობრივი დისციპლინა, კოორდინაცია, მედიაპროდუქციის ხარისხი, ტექნიკური საჭიროებები და ა.შ.) საუბარია აჭარის ტელევიზიის და რადიოს დირექტორის მ/შ 2019 წლის ბოლო II კვარტლის ანგარიშში და სხვა დროსაც არაერთხელ გამხდარა ეს პრობლემები მსჯელობის საგანი. ამ პრობლემების მოგვარების პროცესი, ფაქტია, დაწყებულია, თუმცა პრობლემების საბოლოო გადაწყვეტას ცალკე აღებული ვერც მრჩეველთა საბჭოს ერთი წევრი, ვერც მრჩეველთა საბჭო ერთიანად და ვერც ცალკე აჭარის ტელევიზიის და რადიოს დირექტორი/მენეჯმენტი ვერ შეძლებს. ეს შესაძლებელია მხოლოდ

აჭარის ტელევიზიის და რადიოს ორივე ხელმძღვანელი რგოლის და თანამშრომელთა შეთანხმებული, კარგად დაგეგმილი, კოორდინირებული მართვის და მოტივაციის შემთხვევაში.

აჭარის ტელევიზიის და რადიოს განვითარების პროცესების სწორი მართვის და მიღწეული შედეგების შეფასების დინამიკისთვის, აუცილებელია აჭარის ტელევიზიას და რადიოს გააჩნდეს განვითარების სტრატეგიული ხედვა (ჩემი ინფორმაციით, პროექტის სახით უკვე არსებობს). აჭარის ტელევიზიის და რადიოს დირექტორის/მენეჯმენტის, თანამშრომლების მონაწილეობით, სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობით, უმოკლეს პერიოდში აუცილებელია დამტკიცდეს მაუწყებლის განვითარების სტრატეგიის დოკუმენტი და სამოქმედო გეგმა, რომელიც განსაზღვრავს მაუწყებლის განვითარების სამომავლო მიმართულებებს.

ასევე, მნიშვნელოვანია გაგრძელდეს მაუწყებლის განვითარების პროცესში სხვადასხვა განვითარებული ქვეყნის მაუწყებლების საქმიანობის მუდმივი ანალიზი და მათი საუკეთესო პრაქტიკის შეძლებისდაგვარად გათვალისწინება აჭარის მაუწყებლის საქმიანობაში.

პროგრამული პრიორიტეტები

პროგრამული პრიორიტეტების სწორად განსაზღვრა და მისი სრულყოფილად შესრულება საზოგადოებრივი მაუწყებლისთვის განსაკუთრებული პასუხისმგებლობაა. ბიუჯეტის და პრიორიტეტების სწორად დაგეგმვა და შესრულება არის მაუწყებლის მენეჯმენტის და მრჩეველთა საბჭოს წინაშე მდგარი მნიშვნელოვანი გამოწვევა. ეს პროცესი საზოგადოების მხრიდან მუდმივი მსჯელობის, კვლევის და ანალიზის საგანი უნდა იყოს.

დღეს კომერციული მედია საშუალებები, რეიტინგის გამო, ვფიქრობ, უფრო მეტად ორიენტირებული არიან სკანდალური/სანახაობრივი თემების გაშუქებაზე. კომერციული ტელევიზიისგან განსხვავებით, საზოგადოებრივმა მაუწყებელმა აქცენტი უნდა გააკეთოს საზოგადოებაში არსებული პრობლემების და გამოწვევების სიღრმისეულ გაშუქებაზე, მისი მოგვარების გზების ძიებაზე და ამით მოიპოვოს საზოგადოების ნდობა და მეტი მაყურებელი. საზოგადოების ნდობის ხარისხის და სარედაქციო დამოუკიდებლობის ზრდის კუთხით, სხვა საინფორმაციო და პროგრამული საკითხების პარალელურად, განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს ჟურნალისტურ გამოძიებას. მიმდინარე საზოგადოებრივ-პოლიტიკური პროცესების, განსაკუთრებით სახელისუფლო საქმიანობის სფეროში არსებული დარღვევების გამოაშკარავებას. ამგვარი გადაცემები მნიშვნელოვანია მედიის, როგორც მეოთხე ხელისუფლების ფუნქციის რეალური განხორციელებისთვის, რაც თავისთავად ზრდის მაუწყებლის მიმართ სანდოობასა და ინტერესს.

პროგრამული პრიორიტეტების განსაზღვრისას მაუწყებლის მრჩეველთა საბჭო ხელმძღვანელობს (როგორც ეს უკვე არსებულ დოკუმენტებშია მოცემული) საქართველოს კანონმდებლობით, ამ სფეროში არსებული საერთაშორისო გამოცდილებით, სოციოლოგიური კვლევებით, მოქალაქეებთან საჯარო შეხვედრებით, საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოსა და საკუთარი გამოცდილებით. მაუწყებლის არსებული პრიორიტეტები პრაქტიკულად

მოიცავს ყველა მნიშვნელოვან პროგრამულ მიმართულებას, თუმცა ერთია პროგრამული პრიორიტეტების დოკუმენტის მიღება და მეორე - ამ პრიორიტეტების შესრულება, შესრულების ხარისხი და მონიტორინგი, რაც მრჩეველთა საბჭოს ერთ-ერთი უმთავრესი მოვალეობაა.

მაუწყებელმა უნდა უზრუნველყოს, რომ პროგრამული ბადე იყოს მრავალფეროვანი, საინტერესო და სიღრმისეული. ამის მიღწევა კი მან უნდა შეძლოს საზოგადოების სხვადასხვა ჯგუფის საჭიროებებზე ორიენტირებული მაღალი ხარისხის პროდუქციის შექმნით.

რადიო

აჭარის რადიოსთან დაკავშირებული საკითხები, მისი სამომავლო გაძლიერება, კიდევ ერთი სერიოზული გამოწვევაა მაუწყებლისთვის. მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა მულტიპლატფორმული გადაცემა და შეინიშნება სხვა პოზიტიური საეთერო ცვლილებები, რომელმაც დადებითად იმოქმედა საეთერო ბადის განვითარებაზე, ტელევიზიის მაყურებლებთან შედარებით, არსებული კვლევებით ჩანს, რომ რადიო მსმენელთა სერიოზულ ნაკლებობას განიცდის. შესაბამისად, ამის გამომწვევი მიზეზების ანალიზი, გამოკვეთილი პრობლემების მოგვარების გზების ძიება და სამომავლო განვითარების პერსპექტივების განხილვაც, ბუნებრივია, უნდა მოხდეს მაუწყებლის განვითარების ერთიანი სამოქმედო გეგმის და სტრატეგიის შემუშავებისას.

ვებგვერდი

ბოლო კვლევებით როგორც ჩანს, განსაკუთრებით მზარდია მაუწყებლის ვებგვერდზე ვიზიტორთა რაოდენობა, რაც კარგია და ბუნებრივია, მიანიშნებს იმაზე, რომ მაუწყებლის გუნდმა კარგად შეძლო ტრადიციული მედიის პარალელურად, სოციალურ მედიაში მაყურებლის ინტერესის ზრდა და ნდობის მოპოვება.

ვებგვერდის, სოციალური ქსელის და მულტიმედიის პლატფორმების განვითარება, კიდევ უფრო გაზრდის მაუწყებლის აუდიტორიას. აუცილებელია გაძლიერდეს ვებგვერდის გუნდი როგორც ადამიანური რესურსების, ასევე თანამედროვე ტექნიკური აღჭურვილობის კუთხით. სოციალური მედიის მიმართულების განვითარება აჭარის ტელევიზიას და რადიოს მისცემს ფართო აუდიტორიასთან ამბების უფრო ოპერატიულად, ინოვაციურად და კრეატიულად მიწოდების შესაძლებლობას. ეს ყოველივე კი გამოიწვევს საზოგადოების აქტიურ ჩართულობას ქვეყანაში მიმდინარე მნიშვნელოვანი პროცესების შეფასებასა და განხილვაში.